


ნახ. ბ. ვინდემისა



ჩვენი სტუმარია სატირისა და იუმორის ლატვიური ჟურნალი „DADZIS“ („ქურჩა“).

ჟურნალი „დაძისი“ აგერ უკვე რამდენიმე წელია უძრავობის ხანაშიც და ახლაც, გარდაქმნის კვირდღში, თავისი მსუსხავი ეკლავით ეგრძის ბუროკრატიასა და ცხოვრების ანტიკონდეგს.



— ძვირფასო ღოწი, ნება გვიბოძეთ გულითა და სულით მოვიტოვოთ თქვენ... ჩვენ... თქვენ... ჩვენი... ჩვენი უფლებადუღი ათნობიგანდის უკან გაყოფანის წარმატებით დაშთავრება და დაბალიდროთთქვენ... ჩვენ... თქვენ გვეკუოტონ ვარსავედვითა და გამარჯვებონ გეოტრეოტრდენით!



— თუ ცხვარად მოგვამავენ,
 ისევ დაყვავაუნი ჩაგიშვებ!!!



საბაძე

ნახ. ა. ლიეპინისა

ალექსეი ხალტურინი

ანჯ, თუ კაცი ხარ!

— ანჯ, შენა ხარ? მართლა შენა ხარ? როგორა ხართ? ნორმა-
 ლურად? შეუძლებელია ყველანი კარგად არიან? შეუძლებელია!
 კარგი, კარგი, მჯერა.

— აბა, მზად ხარ? გვეითხები, კალამი და ქალაღლი ხელთა
 გაქვს? მაშ ჩაინერე, ვნეწარ მესამე განყოფილებაში, მეხუთე პა-
 ლატაში. მისმინე შემდეგ. ყველაფერი ჩაინერე და შესარულელ
 ძალიან გთხოვ, პირველ რიგში ჩემს ჭამა-სმარზე იზრუნე. საუზ-
 მისათვის მჭირდება კარაქი, ყველი, ხაჭო, მარილი, შაქარი და
 მურაბა. სად იშოვო შაქარი? არ ვიცი! არა, ამბიციები სულაც
 არა მაქვს. არც ტკბილ ცხვრებსა ვარ ნაჩვევი. მე რომ ტკბი-
 ლი ცხვრება მქონდეს, შაქარს აღარა გთხოვდი... შემდეგ. სა-
 დილისათვის: ბულიონი, კარტოფილი ვიდებმურს. სოსისთან
 ერთად და კვეფრი. სავაშშოლ: მოხარშული კვერცხი, ნამცხვა-
 რი, ჩაი, შო, და, რაც მთავარია, ყოველდღიურად მჭირდება მო-
 უხდელი რძე! შალო! რა მითხარი? ჩვეულებრივი რძეც კი დე-
 ფიცითი გახდა? მოეშვი დემაგოგიას! აქ ყველას მოუხდელი რძე
 გამოგვიწერეს. ეფექტი? ჯერ კიდევ არ შეუმონმებიათ, რადგან
 რძე არაყის მიგვიღია. მაგრამ, ეს პრეპარატი, უნდა ვიფიქროთ,
 სწორედ ამიტომაა კოლოსალური. ჩაინერე? კარგი, ჩაინერე კი-
 დევ!

ტელევიზორი მომიტანე. ჰოკეის რადიოშიც შეგიძლია მოუს-
 მინო! გამოაყოლე მატყლის საბანი და ელექტროსათბურა. მე
 მგონია, რომ მაცივარში სურსათს ინახავენ და არა პაციენტებს.
 ალბათ, უნდათ, რომ აქ დიდხანს ვყავდეთ? შორიდან თუ შევ-
 ხედავთ, შეიძლება მართალიცა ხარ, მაგრამ, ანჯ, თუ კაცი ხარ,
 მომიტანე ეგ სათბურა.

ნათანასონაც დაურეკე და უთხარი, რომ გვიშოვოს ერთი სათ-
 ლი საღებავი, ჯაგრისი, ქაფჩა, ცემენტი. კედლებზე ამოსალესი
 და შესაღები. ამას რომ მოვრჩებით, მერე სასურავს დავიწყებთ.
 იქ რა მასალა და იარაღი დაგვჭირდება, მერე შეგატყობინებ.

ახლა კი ჩაინერე, რა ნამლები მჭირდება: გასტროფარმი, პიტ-
 ნის წვეთები, კი, კი, ასპირინიც. რამდენი? სულ ნამოიდე, რაც
 კარადაშია! ვიტამინებიც! რომელი? სულ ერთია! მე თუ არ გა-
 მომადგა, სხვას მივცემ, ან გაფუცვლი.

ჰო, და არ დაგავიწყდეს! არა, შენს დაზე არ ვამბობ, მოწყა-
 ლების დაზე გუბნები. იცი რა, ჩვენს მოწყალების დას... ჰო,
 ექთანზე ვამბობ, მხედველობის საქმე ვერ აქვს კარგად. სიბნე-
 ლეში სულ არ შეუძლია ჩხვლეტა. სიბნელეში რატომ უნდა
 უჩხვლიტოს? ნათურას თუ მოგვითან, პალატას გავანათებდით.
 გმადლობ, ანჯ, რომ მომავოცე, ყველაფერს ერთად ვერ გაიხ-
 სენებს კაცი.

ჰო, კიდევ რა? არ დაგავიწყდეს, ერთი ბოთლი არაყი უნდა
 მიყიდო. კიტრის მწნილი არ გინდა! ექიმებმა ლიმიტი ამონურეს,
 მაგრამ ინექციისათვისაა საჭირო. რა? მაღაზიებში არაა? მაშინ
 ოდეკოლონი მაინც მიყიდე. არც ეგაა? შავ ჯეკს აქვს და იმას
 გამოართვი! ხომ იცი, სად უნდა მოძებნო შავი ჯეკი? ჰო, ეგრე.
 კარგად გასინჯე წყალი არ შემოგაპაროს. ეგაა მაკლია, ბოტ-
 კინი ავიკიდო.

აუცილებლად ნამომიდე „ვესელიბა“, მთელი წლის ნომრები.
 თან გავერთობი და მეზობლებსაც დავუსვამ დიაგნოზს. რა? არა,
 ექიმები კი არ ზარმაცობენ, პირიქით, თავგამოდებით მუშა-
 ობენ შეფის ნაკვეთში. იქიდან კი პირდაპირ ბოსტნეულის ბა-
 ზაში მიდიან. „ვესელიბა“ არ დაგავიწყდეს.

ჯერჯერობით სულ ესაა. ო, არა, ლამის მთავარი დამავიწყდა.
 ანჯ, არ შეგიძლია მეზობელ საავადმყოფოს ორი დღით ათხოვო
 ექსკავატორი? თუ ათხოვებ, მაშინ ეგენი ჩვენს საავადმყოფოს
 ურიგოდ მისცემენ რენტგენის აპარატს. იცი რა, პალატის ამ-
 ხანაგები სანაძლეოს დებენ, კუჭი მაქვს თუ არა. სხვათა შო-
 რის, ამის გაგება მეც მაინტერესებს. ანჯ, თუ კაცი ხარ, ათხოვე
 ექსკავატორი!

1 ვიდზემე — ლატვიის ცენტრალური ნაწილი.

ოდა დეფიციტს

ყველანა ახლა შეგიძლია
 ისე იხმის როგორც შენ
 კბილის პასტა, ვაშლი


ჩაინდა
 გაგვიხადეს დეფიციტი!

ყველაფერი რომ აშოვო,
 არ შეგორება აღარც
 გრძობი.

ვერ ვეძღულობ,
 ამიტომაც
 ფულს ვავროვებ
 ხალაროში.

არნოლდ აუზინი

ნახ. შ. მუშაპილიძისა



სამი 89

უსიტყვოდ

ნახ. რ. ვალტერისა



1989

— ჩვენ თვითდაფინანსებაზე უნდა გადავიდეთ,
 ვის აქვს ასანთი?

ქარხნის დირექტორი სამმართველოში გამოიძახეს და უთხრეს:

— აი, რომ ჩიოდით, კადრები არ გვეყოფნისო, ინჟინერს გაძლევთ ახლა. ახლახან დაამთავრა ასპირანტურა და დისერტაციაც უკვე დაიცვა, სანარმოში სურს მუშაობა...

— დიდი მადლობა! — მიუგო დირექტორმა და სიხარულისაგან ხელები მოიფშვინტა.

ქარხანაში დაბრუნდა თუ არა დირექტორი, მაშინვე მთავარი ინჟინერი და კადრების განყოფილების გამგე დაიბარა.

— ამხანაგებო, სასიხარულო ამბავი მოგიტანეთ. ახალგაზრდა, ნიჭიერ ინჟინერს, მეცნიერებათა კანდიდატს გვიგზავნიან. დაეხედეთ ახლა და კარგად მოვიფიქროთ, სად სჯობია მისი გამოყენება...

სამივე ფიქრებში ჩაიძირა. მთავარმა ინჟინერმა თქვა:


— რა ტყინს ვიჭყლებათ — ტექნიკურ განყოფილებაში გაგაშენებთო, ახეა თუ ისე, იქ წესრიგი უნდა დავამყაროთ...

— მართლაც და! — დაეთანხმა დირექტორი და კალმისტარს დასწავდა. მაგრამ კადრების განყოფილების გამგემ ცხვირი აიზღუა:

— ტექნიკურ განყოფილებაში არაფერი გამოვა... ადგილი არაა.

— მალაპოლოდინის მაგიერ დაენიშნოთ, ეგ ისედაც სულელია!

— იმის გამო რომ სულელია, სამუშაოდან ვერ დაითხოვ! — თქვა გამგემ. — სასამართლო უკანვე დააბრუნებს.



— მართლაც რომ! — დირექტორმა კეფა მოიფხანა და ამოიხორცა.

— მაშინ საკონსტრუქციო ბიუროში დაენიშნოთ. ახალგაზრდები აქ პაიროვით გვეჭირდება...

— შიშვადამაინც არც აქ გვაქვს ადგილი, — მიუგო მთავარმა ინჟინერმა.

— გრძობული გაგათავისუფლოთ! — გადაწყვიტა დირექტორმა. — ეგ არც ღვინოა და არც წყალი...

— შეუძლებელია! — მიუგო მთავარმა ინჟინერმა, — პროფკავშირის აქტივისტია. შეცდომებსაც ხვდება...

— მართალია, შეცდომებს ხვდება... — დაეთანხმა დირექტორი და ყველამ კვლავ ფიქრებს მისცა თავი.

— კეთილი! — რაკი სხვაგან არსად შეგვიძლია, სამონტაჟო სამაშქრო ჩავაბართო, — შესთავაზა მთავარმა ინჟინერმა.

— არა, არ ღირს! — გამგე შეენინაღმდეგა. — სამონტაჟო სამაშქროს უფროსს პენსიამდე ერთი წელია დარჩა... განგებ ნუ გავუფუჭებთ საქმეს... ეგ ახალგაზრდა,

მოდი, სარამოსხმელოში გაგაფორმოთ, ზედაპოჭრილი იქნება!

— აჰ, მანდ არა! — ნამოიძახა დირექტორმა, — სარამოსხმელოში უკვე ათი წელია უმურკუმური მტუშაობს და ასეა თუ ისე, უკან არ მიჰყავს სამაშქრო ადრეც სამაშქრო გაგათავისუფლეთ, როგორც თანამდებობისათვის შეუფერებელი, მაგრამ უმურკუმური მანც გამლცდელი კაცია, არც ნასამართლევა და არც გამტყუბამი ყოფილა. არა, გთხოვთ, მაგას ნუ შევანუხებთო ცინცისის ახალგაზრდა როგორი იქნება?!

— მაშ, რა ჯანდაბა ვუყოთ? — ამოიხორცა ინჟინერმა.

— საერთოდ რა ეშმაკად მოუნდათ ჩვენი აფორიაქება? — წყენით თქვა კადრების განყოფილების გამგემ. — ჩვენ ჩვენი უბედურება არ გვეყოფნისო?

— მართლაც და! — თქვა დირექტორმა. — მაგანარი დათუური სამსახური ჩვენ არ გვეჭირდება. გვიგზავნიან ვილაცას, აქ რომ თავები ვიმტყრიოთ...

დირექტორმა ყურმილს წამოაველო ხელი და სამმართველოში დარეკა.

— ჩვენ აქ ვითათბირეთ და გადაწყვიტეთ: იქნებ ეგ საპეციალისტი სხვაგან უფრო საჭირო იყოს... ჩვენ ისედაც ვასრულებთ გემას... ეგეთი კარგი მუშაკი სჯობს კარგ სამუშაოზე გაიგზავნოს, რადგან ჩვენთან არავითარი პერსპექტივა არ ექნება...

ყველამ თავისუფლად ამოისუნთქა და მუშაობა განაგრძო.

3. მიხაილოვი



ნახ. ე. უოზისა





დედაკო. ესინიც მოპიკეტები არიან?!




უსიტყვოდ

ნ. ი. მელნაძის

ანდრეი სკაილი

საბედნიეროდ რუნკული შინ დამხვდა



უბედურება მოულოდნელად დაგატყდება თავს. ერთ საღამოს ფელიქს რუნკული მენვია, რომელიც კაი ხანია ჩუმად ვაჭრობს საბურავებით, აგურით, თევზუღითა და სხვადასხვა დელიკატესებით.

— ყველას დაუძახე! — საიდუმლოდ მითხრა, — კაი რამე უნდა შემოგთავაზოთ.

მაშინვე მოვიყვანე ეზელშენი და პუსპიდრინი. ოთახში რომ ჩავიკეტეთ, რუნკულმა წამოიხმო:

— აი, ნახეთ, სამი მარტოხელა კაცი ცხოვრობთ აქ და მფარველი არავინა გყავთ. ხომ გაგიგონიათ, თქვენნაირები რამდენჯერ გაუქურდავთ და მერე დაუხოციათ. ამიტომაც წმინდა ჯიშის ბულდოგები უნდა შეიძინოთ.

— მაგრად შეინახე შენი ბულდოგები! — უკმეხად მიუგო პუსპიდრინი. — ძალმა თუ ყელი გამოლადრა ვინმეს, მერე უყარე კაკალი! დიდი მადლობა მაგ პატივისცემისათვის!

— თქვენი ნებაა! მე არ გაძალებთ! გუდ ბაი! — რუნკული წავიდა.

— მეორე დილას, ვისაუბრე თუ არა, ჩვეულებისამებრ პარკში შევედი. ის იყო გაზეთის კითხვა და ვინცა, რომ გვერდზე ერთი მეზღვაური მომიჯდა. ინტელიგენტურ მამაკაცს თეთრი ქუდი ეხურა, სახელოებზე ფართო ოქროსფერი ზოლები ჰქონდა, მკონი კაპიტანი იყო. ამ დროს ბილიკზე ჭრელმა ძაღლმა ჩაირბინა. კაპიტანმა ზიზლით გადააფურთხა:

— თფუ, დალაზერის ემპაკმა, რა მეზიზლება ეს ქოფაკები! ე-ჰე, წამდვილი ძაღლი რომ მამოენინა, იაპონური ბულდოგი... არაფერს დავიშურებდი.

მაშინვე დავდე გაზეთი. — თუ არ ვცდები, ახლა თქვენ იაპონური ბულდოგის ყიდვა ისურვეთ!

— დიას, დიას... მაგრამ ამაზე არ ღირს ლაპარაკი. სად იშოვის კაცი იაპონურ ბულდოგს, იშვიათობაა.

— მაგას რად ბრძანებთ. ამ საქმეში მე შემიძლია სამსახური გაგიწიოთ.

აქოშინებულ კაპიტანი წამოხტა და მხრებზე მომხვია ხელები:

— იაპონური ბულდოგი გყავთ? მართლა მომყიდით?

— უეჭველად. რამდენს მომცემთ?

— ფასი მითხარით და უსიტყვოდ გადაგიხდით! ოღონდ ნუ მალოდინებთ, ახლავ მომიყვანეთ!

— ასე მალე არ შემიძლია, ძაღლი აგარაკზე მყავს... თუმცა ეს მე არ დამაბრკოლებს, წაშუადღევს აქ მოგვერით. ათასი მანეთი დასჭირდება.

კაპიტანს ჩაუცინა:

— ძვირფასო მეგობარო, თქვენ წამდვილად არა გაქვთ წარმოდგენა. არ მინდა მოგატყუოთ და პირდაპირ გეტყვი, რომ იაპონური ბულდოგი ღირს ხუთი, დიას, ხუთი ათასი. გამომართვით, ას მანეთს ბეს გაძღვეთ!

აღელვებისაგან მარცხენა ფეხმა ცახცახი დამინყო. როგორც იყო თავი შევიკავე და ვუთხარი:

— ბე რა საჭიროა, შევთანხმდეთ, რომ სამ საათზე აქ შევხვდებით.

კაპიტანი თავაზიანად გამომემშვიდობა და წავიდა. როგორც კი მისი თეთრი ქუდი ბუჩქებს მიეფარა, წამოვდექი და რუნკულთან გავქანდი. ხუთი ათასი მანეთი! გული საგულეს აღარ ჩერდებოდა.

საბედნიეროდ რუნკული შინ დამხვდა. მოწინებთ მივესალმე:

— გამარჯობა, ჩემო კეთილო ფელიქს! იცი, მე მართლაც არაფერი მაქვს სანინალმდეგო, რომ ეგ მშვენიერი ბულდოგი ვიყიდო. ერთი-ორი ასიანი მაგისათვის არ მენანება. მომეცი ძაღლი და საქმე გავათავოთ.

რუნკულმა ბოროტად ჩაიქირქილა: — ნუთუ სულ არაფერი არ იცი, არ იცი, რა ღირს ახლა იაპონური ბულდოგი? ხუთი ათასი! მე ყოველთვის ვიცი წამდვილი ფასი!

— არამზადამ მართლა იცოდა. ხელები მომიდუნდა.

— არაფერია, ნუ დაღონდები! — რუნკულმა დამამშვიდა. — მეგობრებს ყველაფერს ნახევარ ფასად ვაძლევ. ორი ათას ხუთასი! რას იტყვი?

დავეთანხმე. ნახევარი ასე თუ ისე მაინც მრჩებოდა. ვუთხარი, ერთ საათში მოგიტან-მეთქი და შინ წამოვედი, რომ მეგობრები საგან მესესხა ფული. ბედი არ გინდა?! პუსპიდრინი და ეზელშენი საღდაც ნასულიყვნენ. ტაქსი დავიჭირე და სამათხოვროდ ჩამოვუარე ნაცნობებს. თორმეტ საათზე რუნკულს მივუკავუნე.

— უკვე ვიფიქრე, სულ აღარ მოვა-მეთქი. — რუნკულმა ჩაიქირქილა. — წამოდი!

ეზოში შევედი. ფარდული გაალო თუ არა, ღრენით გამომეჩანა ბანჯგვლიანი ურჩხული.

— ღმერთო ჩემო, ესაა იაპონური ბულდოგი?

— ბავშვივით კითხულობ! ხომ ხედავ, რომ ჭრელია! მგონია შენ სულაც არ იცი, რანაირია იაპონური ბულდოგი.

— რა თქმა უნდა, არ ვიცი! ასეთი საზიზღრობა, მადლობა ღმერთს, სიზმარშიც არ მინახავს... ავი ხომ არაა?

— შენა გგავს! წმინდა ჯიშის ძაღლები რომ ავები არიან, ეს ყველა იდიოტმა იცის! გამომართვი და მშვიდობაში მოიხმარე!

საფრთხოებელა მთელ გზაზე იღრინებოდა და ბოროტად მიყურებდა კანჭებზე. შინ მივიყვანე. საკუჭნაოში შევაძნყვდი და ოფლი მოვიწმინდე.

უცბე შემომესმა, რომ ვილაცა კარს აღებდა. გავედი დერეფანში და, ვაი შენ, ჩემო თავო, ამას რას ვხედავ! პუსპიდრინს სიხარულისაგან უბრწყინავს თვალები და გრძელკანჭა დრუნჩა შემოჰყავს შინ.

— დაუფრევბელი ასეთი შემთხვევა! — არ შეუსვენია, ისე მომაცარა. — სასადილოში სიმპათიური კაპიტანი მომიჯდა მაგიდასთან. მეუბნება, რომ ვეძებო, — აბა, გამოიყენ რას? — იაპონური ბულდოგს! ბლომად ფულს დამპირდა... ექვსი ათასი! მაშინვე რუნკული გამასხენდა და, აჰა, ბედმაც გამიღიმა! შესანიშნავი კაცია რუნკული, ნახევარ ფასად დამითმო. შეხე, რა ლამაზია! ოღონდ ახლა ქეცი აქვს და წყნარად დადის... თუმცა ყველა წმინდა ჯიშის ძაღლი წყნარია, ეს იდიოტმაც იცის!

პუსპიდრინმა თავისი იაპონური ბულდოგი ოთახში შეიყვანა, მე კი სამზარეულოში შევბარბაცდი, რომ წყალი მომესვა.

ამან მხოლოდ წამით მიშველა, რადგან უცბე დერეფანში ყრუ ყვავა გაისმა. კარი გაუღე და რას ვხედავ! ხბოსტოლა ძაღლი-სათვის სარეცნის თოკი გამოება ეზელშენს და შინ შემოჰყავდა. დამინახა თუ არა, გახარებულმა შემომძახა: — თუ იცი, ამ ქვე-

ყანაზე ყველაზე სულელები ვინ არიან? მეზღვაურები! ამ დილას ტრამვაიში შემთხვევით გავიცანი ერთი წარმოსადეგი კაპიტანი... რა გაცახცახებს? არაფერს გიზამს! ეს იაპონური ბულდოგია!

მე უკვე გრძნობა დავკარგე.

ბადის



— ამხანაგო გენერალისიმუსო, როგორ იტყოდა მარქსი, რომ
 აღამიანები სიხარულით მოიშორებენო წარსულს?
 — არავინ იყო, ვინც მათ დახვრეტდა, ამხანაგო მარშალო?!

იუმორისა

ამ ინტერვიუსთვის კარგა ხანია ვემზადებოდი, საქართველოს ისტორიას და სახს ლექსიკონს კიდევ ერთხელ გადავავლე თვალი, გეზი მცხეთისკენ ავიღე და გზას არმაზისაკენ მაყვლის ჭამით გაუდექი. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე გზათა მშენებლებს ისეთი სოდომ-გომორი გაეჩაღებინათ, რომ იქ მისვლას კარგა ხანი მოვანდომე!.. მისვლით კი მივედი, მაგრამ ერისმთავართა განსახვეწების ვერც შესავალს მივაგენი და ვერც გამოსავალს. დიდხანს ვურბინე გარშემო და იძულებული გახვდი, საცაგის გალავანზე ავობლებულიყავი და შიგ იხე ჩავმხტარიყავი!.. სამშვიდობოზე გასული სამაროვნის ქვაზე ჩამოვჯექი და ნკვიპურტებით დავიწყე მტვერში ამოგანგლული შარვლის ბერტყვა!..

— ვინა ხარ, რა სულიერი ხარ? — ამომძახა ვიღაცამ ქვევიდან და სამაროვნის ქვაზე დააკაკუნა.

— თვითონ ვინა ხარ? — ჩავძახე შემინებულმა და აკანკალებული მუხლების ხელით შერჩევა ვცადე.

— ასპარუგი ვარ, ერისმთავარი!

— გამარჯობათ, ამხანაგო ასპარუგ, ბოდიშს გიხდით, რომ ასეთ მდგომარეობაში გხვდებით!

— ორა ნელია, ვერც ერთ ტურისტს და დამთვლიერებელს ვერ შემოულწვია ჩვენთან და შენ როგორ შესძელი?

— დილის გამამხნეველმა ვარჯიშმა მიშველა! — დავიტრახე ერისმთავართან და ცალკუბათ გავიღიმე.

— რა საქმე გაქვთ ასეთი, რომ სიცოცხლე საფრთხეში ჩაიგდე?

— ინტერვიუ დამავალეს თქვენთან და, ხომ იცით, ხელფასი და ჰონორარი სამსახურებრივ მოვალეობასთან როგორ მჭიდრო კავშირშია!..

— რა გაინტერესებთ?

— ნახევარ საუკუნეზე ცოტა მეტია, რაც თქვენ მეორედ მოველინეთ ქვეყანას, ამ ხნის განმავლობაში როგორ გრძნობთ თავს, მოწყენილობას ან უქეიფობას ხომ არ შეუწუხებინართ?

— როგორ გეკადრებათ, პირიქით, თითქმის ყოველდღე ქვიფის მონაწილენი გახლავართ!

— ეგ როგორ?!

— მოვლენ ვიღაც-ვიღაცები, ჩავლენ ხევში, ცივ წყაროსთან, გაშლიან სუფრას, ორიოდე სიტყვით ჯერ ჩვენ მოგვიგონებენ, შესანდობარს იტყვიან, მერე იწყება სმა, ღრეობა!.. ვინ ვის აქებს, ვინ ვის აძაგებს, ძნელი გასაგებია!..

— სიმღერებს თუ ამბობენ?

— ამ ბოლო დროს უფრო კვიცილზე გადავიდნენ, იმათი შიშით ყურებში თითები გვაქვს ტაბიკებივით გარჭობილი!..

— უსიამოვნებას თუ შესწრებისართ?

— როგორ არა, ძალიან ხშირად. საწყალი სერაფიტა ლანძღვა-გინებისას ნითლდება, ყვითლდება, თავი სად წაიღოს, აღარ იცის!..

— ეკოლოგიური პრობლემების შესახებ რას ამბობენ?

— ძირისძირიბამდე გამობენ ყველას, ვინც ჩვენს დედაბუნებას უდიერად ეპყრობა, მაგრამ წასვლის დროს აქ ტოვებენ ხახვის ფორებს, კიტრისა და პომიდორის ნაფცქვენებს, სახამორღს ქერქებს, ცარიელ ბოთლებს, გაზეთის ნაგლეჯებს, ცხვრის თავფხსა და ფრინველის ძვლებს!..

— თქვენს ოქროსბალთებთან საერისმთავრო სარტყელის ერთ-ერთ თვალზე ამოკვეთილია ქალ-ვაჟის პირისპირგამოსახულება, რომელსაც ბერძნული წარწერა ამშვენებს „ძევახ, სიცოცხლე ჩემო! კარპაკი“. ეს სიყვარულთან დაკავშირებული ქარაგმა ხომ არ არის?

— სიყვარულსა მალეა უნდა, ვითა ცხენსა ნაპარავსაო, ხომ გაგიგიათ?

— სადღაა ცხენები?! ყველანი საკუთარ „ჟიგულებზე“ არიან შემომჯდრები!..

— ჟიგული?! ცხენის ახალი ჯიში იქნება ალბათ!..

— დიახ, დიდძალიანი და დიდფასიანი! აბანოსა და სასახლის დასათვლიერებლად თუ შემოდიან?

— ამ ორი წლის წინათ თითო-ოროლას თუ შემოუცდებოდა ფეხი, ახლა კი, გზის მშენებლების წყალობით, ჩიტები თუ შემო-



ფრინდებიან!

— ტურისტული ჯგუფები?

— იმათაც დიდი ხანია ამოიკვეთეს ფეხი!..

— რესტავრატორების ნამუშევარს შევასწარი თვალი, კარგად უმუშავიათ.

— ჩინებულად, მაგრამ შუაზე გაჩერდნენ, კარგა ხანია აღარ გამოჩენილან!..

— სერაფიტა და ბერსუმა როგორ გრძნობენ თავს?

— გმადლობთ, არა უშავთ რა, ახლა სწორედ ბერსუმასთან მივდიოდი წარდის სათამაშოდ, მაგრამ თქვენმა მოსვლამ..

— მაშინ მეტს აღარ შეგანუხებთ! რას უსურვებდით თქვენს თანამემამულეებს?

— გზის მშენებლები ეშმაკებისთვის ნუ გაგვწირავენ, რესტავრატორები დავინყებისათვის ნუ გაგვიმტებენ, ლხინის მოყვარულნი ნავით ნუ აგავსებენ, ხოლო საქართველოს ისტორიის მოყვარულნი ნუ დაგვივინყებენ!..

— გმადლობთ ინტერვიუსათვის, ბატონო ასპარუგ! უეჭველად გადავცემ!..

— კეთილად ბრძანდებოდეთ, შვილნო ჩემნო!.. აბა, თქვენ იცით!..

ინტერვიუ აიღო მ. კახელიშვილმა



მარტო სიტყვა?!.

ველარ გაგვიჩვევია — ვინ ვინაა, ძამია, ვინ რა „ხატი გაჭედა“, ვის რა მოუტანია!.. ზოგი ერისკაცია, ზოგიც ენათანია, „ფიცის დეფორმაცია“ სიტყვით გაუტანია!.. ბევრი ავი გვინახავს და ბევრიც გვინანია, ზოგიც გადაგვინახავს ხსოვნად, დიდი ხანია!.. ჩვენ სიმართლის ფესვები დიდხანს ვებნეთ ძალიან, ახალგაზრდა ნერგებიც სისხლით გაგვიბანია!.. ჩვენი დროშა შრომაა, ძმობის მზეკაბანია, ნდობის აღფრთოვანება ლხინის ჩირაღდანია!.. უსამართლო წარსული თუმცა ასჯერ მკვდარია (ვისთვის „ხაზადანსულიც“ ისევ თანამგზავრია!) ქვაც გააღხო გონებამ, ავს რომ ხელი დარია, ანამოს გაცისკროვნებაც მისი ნაღვერდალია!.. ენას ძვალი რომ არ აქვს, არც ძველ, არც ახალაია!.. საქმე უნდა გარდავემნათ, მარტო სიტყვა ქარია!

...და ჩვენც ვიცინით!..

თაქსებურად და თავისთვის თხრიდა „თხუნელა“ და როცა მიხვდა „მიმიხედუნო“, ცოტა უნელა!.. სახლი აქცია საგანძურად, ციხე — „ტუფელად“, მერე რა მოხდა, ვითომ თავი გაისულელა?

გაძლა, გასუქდა, გაინელა, როგორც ნურბელა, მტერსაც აჯობა, მოყვარესაც, ყველას უყვალა!.. ბოლოც მოვიდა, ვერ უშველა ველარც „ლუგელამ“ ზიზღით და ვერც ნაძარცვმა ოქრო-ვერცხლმა ველარ უშველა!.. ახლა ვალს იხდის ძველს და ახალს ახლით თხუნელა და ჩვენც ვიცინით, ჩვენც, ვინც იმან გაგვასულელა!

რადგან ასეა!..

ზოგზე იტყვიან: „მტაცებელია, ბიუროკრატი, ხარბი კაცია!“
თუკი ასეა, ასე რაკია, ასეთი კაცი ქვეყნის მანკია! მოლაყბე არის, ესეც ნაღვია, ვინც იტყვის იმას, რაც არ ვარგია!.. ენით ლაყბობა მართლა ფარსია, უზორცო სიტყვა ჩალის ფარსია!.. რადგან ასეა, ასე რაკია, სიტყვის თამაში ხალხს არ არგია! მკლავი მოკვეთოთ ყაჩაღს, მანკიანს, თუ გარდაქმნაზე ლაპარაკია!..

ტარიელ წარეთელი (ქ. კ ი ა თ უ რ ა)



ნახ. რ. ქურციკაშვილისა

— ჩემი ავტომანქანის გამონაბოლქვი ვერაფერს დაგაკლებს, აქ დგომით კი შეიძლება გაიგულოთ!

ნუ გაუინია, მოასწრებ!

იუმორასკა

— ეს შარვალი არ ჩაიცვა! ხუთჯერ ჩახვედი მაგით სოფელში! უამრად ცეცხლს ლაპარაკობენ!..
— რა ვქნა?! — ხალხს პირს ვერ ავუკრავ! ღმერთმა იცის, შარვალი, ამის გარდა, კიდევ მაქვს!
— ღმერთმა კი იცის, მაგრამ ხალხმაც უნდა იცოდეს! აი, ეს თეთრი შარვალი ჩაიცივ!
— თეთრი შარვალი გზაზე გაჭუჭყიან-

დება!
— გაჭუჭყიანდეს, ჯავრი ნუ გაქვს! მე გავრეცხავ!
— შენ გარეცხავ თუ მე, რა მნიშვნელობა აქვს? რა აუცილებელია, ქათქათა შარვლის ჩაცმა ამხელა გზაზე?!
— მაგხელა გზაზე გნახავს სწორედ ხალხი! აბა, სახლში, რაც გინდა, ის ჩაიცვი!
— პერანგი რომელი ჩაიცვა?
— აი, ეს ჩაიცვი, წითელი!

— სად ვიბრიალო წითელი პერანგით?! თეთრ შარვალთან ცისფერი არ აჯობებდა?
— კი აჯობებდა, მაგრამ ის გეცვა ერთხელ ეტყვიან ქორწილში!
— პიჯაკისა და პულავერის შიგნით გეცვა, თან კაშხე მქონდა შემოხვეული და ისე ვიჯექი სეფაში! ან ვინ შემამჩნევდა, ან ვის ეხსომება, რა ფერის პერანგი მეცვა?! რვა თვე გავიდა მას მერე!..
— რვა თვე კი არა, ხუთი წლის წინათ რომ არ დამიჯერე და ჯინსზე ქამარი შემოირტყი, დღესაც ლაპარაკობენ იმაზე!..
— აბა, თუ ასეა, ამ ტუფლით ექვსჯერ ჩავედი სოფელში!
— ტუფლით და პალტოთი შეიძლება ექვსჯერ კი არა, რვაჯერაც ჩახვიდე ზედმიწევნით! ჰო, მართლა, ცხვირსახოცს რომელს იღებ?
— რა მნიშვნელობა აქვს? მომეცი, რომელიც გინდა!
— ბოლო ჩავვალზე რომელი გედო?
— აბა, რა მახსოვს, სამი თვის წინათ რომელი ცხვირსახოცი მელო ჯიბეში?
— მე მგონი, ცისფერი გედო, ლიდას რომ გამოვართვით! ლურჯით კემეს ქორწილში გაგიშვი, გამახსენდა ახლა!
— ცისფერი კი არა, მე მგონი, მწვანე მელო!
— მოდი, ეს ყავისფერი ჩაიდე! — არც ცისფერია და არც მწვანე!
— ის მომეცი, შინდისფერი, უჯრედებიანი, ახლახან რომ ვიყიდეთ!
— ოო, მართალი ხარ! გაანძრე, როგორც იქნა, ტვინი!
— ტვინის განძრევა შენ გჭირდება, ორჯერ რომ ჩახვედი ერთი ქოლგით სოფელში!
— მერე რა, მეორეჯერ ხომ არ გამიშლია ის ქოლგა?!
— იმიტომ იყო, კარგი დღე დაგადგამ იმ წვიმაში! — ერთი კვირა სიცხიანი იწყე!
— სიცხე სამი დღე მქონდა მხოლოდ! უბრალოდ არ გამოვდიოდი გარეთ, შებრუნების მეშინოდა!
— მომანოდე პერანგი, თორემ მატარებელი მე არ დამიციდის!
— ნუ გეუინია, მოასწრებ!..


ნოზაძე ბარათია

ჯეპალ კვირენილაკა

საუპარკო სსსმელს ვეძებდი...

ეკლებში ბოთლი შევნიშნე,
(ჩემს კულში დიდი ლხინ იყო...)
გულის ფანქვლით ვკითხავდი:
„შეგ ხომ არ არის ღვინიკო?“

პროტესტის ნიშნად საცობი
მესროლა, როგორც რეპლიკა:
„არ გაგიგია, ლოთობას
კანონი კრძალავს, ერიკა?!“



ფოთლებში ვნახე, ვიხარე,
(ისე, ვით ხარობს მგელი — შვლით!...)
მივებმატებილე ბოთლუკას:
„შენ ხომ არა ხარ „პშენიჩნი?!“

ძეწკვი შეიხსნა კისერზე,
მომიხტა, როგორც იაგო,
ჩაიკვნეს-ჩაიარაყა
და მითხრა: „ღიახ, ღიახო!“

აგერ ვარ, შენ რომ ეძებდი,
ახლა დამლიე, მოდიო!
არ გასწორდება არაფრით
ძაღლის კუდი და ლოთიო!“

ისევ გამეხსნა სიცოცხლე,
არაყმა ძარღვებს გაპკრაო!...
საგარეჯოში მივღვივარ
„დასასვენებლად“ ახლაო!

წამოდექით, ყმაწვილბაო!

წამოდექით, ყმაწვილბო,
ტანს ჩაიკვი, ბახვა, ღროზე,
და სასწრაფოდ გავეშვავროთ
მუავე წყლისთვის... ბახმაროზე.
რახანია მამლაყინწამ
იყვილა და გაათენა,
ინდაური გაიფხორა



და ბიბილო აანტენა!..
შეეგება ბახვას მარო,
აქეთ ჩვენ და იქით — ისა
და ფხიზელი თავი ქმარმა
ცოლს მიართვა, როგორც ქისა!
დაუფხა ქმარს ამაგი,
გავიშალა უმალ სუფრა,
მოგვითანა ცხელი ჩაი
სასუსტეთა დასამდღურად!
მივაყუდეთ ივლისის ცას
ჭანმრთელობა, როგორც კიბე,
ზადღებრმელო ვერ ვთქვით, თორემ
შშვენაერად ვიქვიფეთ!
გვდარაჯობდნენ, ეჭვიანი
მწერა კარში „გააკვეტებს“,
დაიბოლმენ იმასათვის,
ფული რომ ვერ გააკეთეს!..
ორგანიზმში სულ დავმდღურეთ,
თუ რამ გვექონდა სენი ავი!..
„რა გვეღირსა, ფხიზელნი ვართ!“ —
გამჭვიროდა ჩვენი თავი!..
იმდენი ვთქვით ანეკდოტი,
სჯობდა ღვინო დავგველია! —
ჩვენი სიფხიზლისა გამო
მარო იყო „პახმელია“!

მე და ის

მოქვიფენო, ძველმა „ვილისმა“
მას დაუქნია უძრავი ხელი,
და შეწყდა მოლზე ვირის ღვინს სმა
და მხრებზე გოგრა შემორჩა მთელი!..

დარჩა ეულად ყელჩახრენწილი,
ცოლ-შვილს დედა და სიმპირი ურჩენს!..
გვიცქერს სახლიდან ტვანდაბრეცილი,
„ქრძალვით შევეურებ ამ სურათს უჩვევს“.



ხელში უჭირავს თახვი მოზრდილი,
სახე აქვს შავი, როგორც ნახშირი,
და ეს ხორცმეტი, ეს დროის ტილი
ღვინით აზრს კარგავს, ხდება მაცილი!..

გავტეხავ „სახმის“, რომ ვაქვითინო
„პელე“, კიქიდან ყავად დავღვრილი!..
ჩაით მსურს ჭანი რომ აღვიდგინო
და კიდეც დიდხანს მერტყვას მახვილი!

ოდესლაც იყო კაცი...

გარეთ ცხვარვით წყნარი,
სახლში — ძაღლივით ავი,
ლოთობს მთელი დღე, ცოლთან
თუნგივით მიაქვს თავი!
არ იცის, თუ სად მოხვდა,
კედელზე ეძებს რუკას,
წაწითლებული ცხვირი
ცირკის მახხარას უგავს!
დედას აგინებს შვილებს,
ღვინოს დაიძებს ლოთი —
ცხოვრების მწვანე ბიდან
ჩამოტეხილი ტოტი!..
იატაკს ჩაეკვრება,
ხვრინავს ვით ძველი „ზისი“,
კატაც უირაზე დგება,
გარბის, რცხვინია მისი!..
ჩაეწვეთება ზოგჯერ
ლოთს სიხშირის წვეთი თვალში!..

ემ. რა კარგი დრო იყო
კაცი რომ ერქვა, მაშინ!
დღეს უხარგებლოდ ბოლავს,
როგორც დამწვარი ზეთი!..
იყო მდინარე ერთ ღეროზე,
ნისგან არ დარჩა წვეთიც!
როცა ზურგს აქცეხს ცოლი,
დგება ასეთი წუთი:
სახსუშემსთან წვანან
ის და სანაგვე ყუთი!..
მეზოვეც კი დილით
ლოთს ცემს, წვევლის და დაგავს!..
ოდესლაც იყო კაცი,
ახლა ქვეყლა ნავგად!..

გვიყვება ნახასუხავი...

ტელევიზიით აჩვენეს
დედაჩემს ჩემი სიმთვრალე!..
არ ვიცი, ენა ეკრანთან
რომელ ზმით ავავიტიარე,
ყელი მოვმართე, სიმღერით
ნამდილიად ვკობდი ას გუგულს,



კარატისტივით ვებატე
მიკროფონს, ჩემს წინ დასკუბულს!
განსხვავებული სახმისი
მეგონა ძარღვებდაბერილს,
პირზე მივიმხე, ვით ყანწი,
და დავეყოლე... კაბელი!..
ხუთი დღის მერე მივიღე
მშობელი დღის ბარათი,
მწერდა: „იმ ღამეს ეკრანთან
რამ გაგაგეუა, პალადი?
რკინას და კაბელს რომ ჭამდი,
ჭგავდი ლოთსა და ვირის შვილს,
ერთი მითხარი, შვილიკო,
პური არ ცხვება თბილისში?!
სოფელში დიდი, პატარა,
მიწაში ცოცხლად გკრძალავენ,
შენს მოხვლას ელოდებიან,
ტყეში „უიგულებს“ მალავენ!
რკინის მჭამელი ვით გახდი,
ბიჭო, გაზრდილო „აუთი“?
მომწერე, სახლის მოაჭირს
როდის წავუხვავ მაუთი!
ვერ გავანათე საბრალომ
გული, დარდებში დაფულული,
ხულაში ამირანივით
მყავს მამაშენი დაბმული!
არადა, ენთე ჩვენს გულში
მულამ იმედის ნათურად,
ნუთუ ღვინოში გაცვალე
ნიჭი და ასპირანტურა?!
მივწერე: „ჩემო დედიკო,
ვიწვი სირცხვილის აღმურსი!..
მოდი დამაბი მე ჭაჭვით
და მამაჩემი აუშვი!
კბილებდალენწილს მრცხვენია
მე უფრო მამის — კოტხისი,
არ დავლევ, ფულსაც დავზოგავ,
რომ გავიკეთო პროთენი!
ჩემს კბილთაცვენის მიზეზი
ღვინოა!.. მოვკვდი სმისგანა!..
პასუხად დედამ ლომი და
ხულაგუნი გამომიგზავნა!..

ილუსტრაციები ზ. ფორჩხიძისა

რჩევები

- **ადამიანად** რომ იქცე, საკმარისი არაა მაიმუნის შთამომავალი იყო.
- **რაც** უფრო მყარად დგანან ადგილზე, მით უფრო მგზნებარედ ლაპარაკობენ წინსვლაზე.
- **სხვათს** თუ დიდხანს ჩამოეფარები და დაჩრდილავ, შეიძლება მზემ დაგკრას.
- **თუ** ბიუროკრატი პოზიციებს ნებაყოფლობით თმობს, ეს იმას ნიშნავს, რომ აწინაურდები.
- **კბილაგი** რომ უჩვენო, პროთეზიც საკმარისია.
- **სადაც** მუშტებს იქნევენ, იქ ფიზკულტურის დემონსტრაციას ახდენენ.
- **უაზრო** ცხოვრებასაც თავისი აზრი აქვს.
- **წინათ** შრომის სადარაჯოზე დგომაც კმარაოდა, ოღონდ საქმისათვის ხელის მოკიდებასაც მოითხოვდნენ.

- **სვაზის** გამავრცელებელთა შორის არა მარტო თეორეტიკოსი-ჭორიკანები არიან, არამედ პრაქტიკოსი — მლიქვნელებიც.
- **რამდენადაც** მოკლეა ჭკუა — იმდენად გაკმეტილია.
- **თუ** ვისმე ორმაგად ატყავენ, ეს იმას ნიშნავს, რომ უბრალო ცხვრად არ თვლიან.
- **სხირად** იმიტომ იქექებიან ქაღალდებში, რომ მოხერხებულად წაუძინონ.
- **ქველი** ინსტრუქციითა და ახალი ბრძანებით პროგრესს ვერაფერს მიაღწევს.
- **იმაღლი** ადამიანია დაკეცილი შრომის სადარაჯოზე, ასე გგონია, ჩვენში შრომაზე საშიში არაფერია.
- **მენიუს** ვერ გააუმჯობესებ ახალი სასურსათო პროგრამის შედგენით.
- **ქველია** წესრიგისაკენ მოუნოდო, თუ პასუხისმგებლობისაკენ მოწოდებაც არ შეგიძლია.

არმინ ლინი

საქართველოს
საბჭოთა
რეპუბლიკის
გაზეთი



— ეჰ, ესენი რომ შეეჩახებოდნენ ერთმანეთს, გარდაქმნა ფეხებს გაჭიმავდა!

ნახ. უ. მუშაველიძის

მასალები შეკრიბა და ლატვიურიდან თარგმნა უზანა სახლთუხუცთიუვილმა.